უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

სხდომის ოქმი №1

ქ. თბილისი

03.01.2014

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ნინო ჩინჩალაძე - ფონდ საქართველოს განათლების ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
რევაზ აფხაზავა - განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის ზოგადი განათლების მიმართულების ხელმძღვანელი, უმაღლესი განათლების ექსპერტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
ანა ბახტურიძე - სტუდენტი, საბჭოს მდივანი;
ლილი ბიბილაშვილი - შპს HR პროფესიონალთა გილდიას პრეზიდენტი;
დავით კიკალეიშვილი - იურიდიული ფირმა ,,VBAT"-ის მმართველი პარტნიორი;
ლელა ქელბაქიანი - შპს ქუთაისის უნივერსიტეტის რექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:
ელენე ჯიბლაძე - დირექტორი;
ნანა ჭიღლაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსი;
კონსტანტინე ჩოკორაია - ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი;
ნინო ფურცხვანიძე - აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი;
ლაშა მარგიშვილი - ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი.

ავტორიზაციის მაძიებელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:
1. რუსუდან ლორთქიფანიძე - სსიპ - ქ. ქუთაისის სამუსიკო კოლეჯის რექტორი;
2. ტატიანა ჯავახიშვილი - სსიპ - ქ. ქუთაისის სამუსიკო კოლეჯის ხარისხის სამსახურის წარმომადგენელი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი (შემდგომში - ავტორიზაციის ექსპერტი):
ეკატერინე ბაღიშვილი.

თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 18:21 სთ-ზე, შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. სსიპ - ქ. ქუთაისის სამუსიკო კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ ყოფილა.
საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის დღის წესრიგი.

1. სსიპ - ქ. ქუთაისის სამუსიკო კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს ჰკითხა , ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს ჰკითხა, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაურთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ეკატერინე ბაღიშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ დაწესებულება ახორციელებდა 1 საბაკალავრო (საშემსრულებლო ხელოვნება) და ქართულ ენაში მომზადების აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამას. ეკატერინე ბაღიშვილმა ისაუბრა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 პროგრამაში არ არის მითითებული სემესტრში (ან წელიწადში) სასწავლო კვირების რაოდენობა, სილაბუსები გაწერილია 15 კვირაზე (რომელშიც შედის ფინალური გამოცდაც). დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, სემესტრი მოიცავს 19 კვირას, აღნიშნული ასევე დასტურდება ქუთაისის სამუსიკო კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით და კოლეჯის დებულებით, სადაც მითითებულია, რომ ერთი სემესტრის ხანგრძლივობა შეადგენს 19 (სასწავლო და სასესიო) კვირას. სრული აკადემიური წელი კი მოიცავს 38 კვირას;

1.2 სილაბუსების გადამოწმებისას გამოიკვეთა შემდეგი: სასწავლო კურსების ნაწილი, რომელიც გრძელდება რამოდენიმე სემესტრის განმავლობაში (მაგ. ქართული მუსიკის ისტორია) წარმოდგენილია ერთი სილაბუსით. სადაც თემატიკა და კრედიტები ჩაშლილია სემესტრების მიხედვით, მაგრამ მიზნები დ შედეგები, ასევე დაშვების წინაპირობები ერთია ყველა სემესტრის სასწავლო კურსისთვის;

1.3 სპეციალობის საგნები, რომლებიც გრძელდება ყველა სემესტრში (მაგ. - ფორტეპიანო, რომელიც გრძელდება 8 სემესტრის განმავლობაში - ფორტეპიანო 1-2-3-4-5-6-7-8), წარმოდგენილია ერთიანი სილაბუსით, სადაც არ არის გაწერილი თემატიკა. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, თემატიკის მიუთითებლობა განპირობებულია იმ თავისებურებებით, რაც ზოგადად დამახასიათებელია ამ სფეროსთვის და რომელიც სწავლების პროცესში თითოეული სტუდენტის შემოქმედებითი პოტენციალის და უნარის გათვალისწინებით მათდამი ინდივიდუალური მიდგომისა და გეგმის შემუშავებას გულისხმობს. სილაბუსს ახლავს გამოსაყენებელი ლიტერატურის ნუსხა, რის საფუძველზეც, დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ხდება სემესტრის განმავლობაში, თითოული სტუდენტის უნარის გათვალისწინებით, ინდივიდუალური პროგრამის განსაზღვრა. სილაბუსებში ასევე არ არის მითითებული თითოეული სემესტრის მანძილზე გამომუშავებული სწავლის შედეგები. ყველა სემესტრის კურსისთვის ერთიანი მიზანი და შედეგია გათვალისწინებული. ასევე სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობა

ყველასთვის ერთია. სილაბუსში მითითებულია, რომ აღნიშნული კურსი ემსახურება სტუდენტის შემოქმედებითი კომპეტენციების პროცესუალურ გამომუშავებას, რომელიც საბოლოო შედეგზე არის ორიენტირებული, რის გამოც, შეუძლებელია სწავლის შედეგების ეტაპობრივი დანაწევრება;

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

2.1 სსიპ - ქ. ქუთაისის სამუსიკო კოლეჯი მდებარეობს ქალაქ ქუთაისში, გამსახურდიას ქ. N43ა-ში. შენობა-ნაგებობის საერთო ფართი - 4072.58. შენობა III სართულიანია, I სართულზე განლაგებულია ადმინისტრაციის ოთახები, ბიბლიოთეკა, სტუდენტური თვითმმართველობის ოთახი, დიდი საკონცერტო დარბაზი, II-III სართულებზე განთავსებულია აუდიტორიები ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობისათვის, კამერული სიმღერისა და ვოკალური ანსამბლის, ფორტეპიანოს, სოლო სიმღერის, სიმებიანი და ჩასაბერი საკრავების, არფისა და კონტრაბასის, ასევე დირიჟორობის კლასები. უნდა აღინიშნოს, რომ შენობა-ნაგებობა კაპიტალურია, თუმცა საჭიროებს სარემონტო სამუშაოებს;

2.2 დაწესებულების სტრუქტურა განსაზღვრულია დაწესებულების წესდებით რომელიც მოიცავს რექტორს, აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოს, ადმინისტრაციის სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. უნივერსიტეტში ფაქტობრივად არის ერთი - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი, რომელსაც ჰყავს დეკანი. მომუშავეთა საშტატო ნუსხა დამტკიცებულია კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ. აღსანიშნავია, რომ დაწესებულების 25.05.2009 წლის მოქმედი წესდება (23.08.2010 წლის რედაქციით) საჭიროებს მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას. წარმოდგენილ იქნა ახალი წესდების პროექტი რომელიც გაგზავნილია კულტურის სამინისტროში, შესაბამისი მიმოწერა ინახება დაწესებულებაში და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში. კოლეჯის სტრუქტურა და სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები უზრუნველყოფს კოლეჯის მისიით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სსიპ - ქ. ქუთაისის სამუსიკო კოლეჯი წლების განმავლობაში წარმოადგენდა თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ფილიალს, რომელიც ახორციელებდა 1 საბაკალავრო და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებს.

ავტორიზაციის ექსპერტმა, ეკატერინე ბაღიშვილმა განმარტა, რომ მთლიანობაში დაწესებულების პირობები შეესაბამებოდა ავტორიზაციის სტანდარტებს. 1.1 შენიშვნასთან დაკავშირებით ეკატერინე ბაღიშვილმა საბჭოს წევრებს დამატებით განუმარტა, რომ კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით და კოლეჯის დებულებით სემესტრის ხანგრძლივობა იყო განსაზღვრული და იგი შეადგენდა 19 კვირას.

1.2 და 1.3 შენიშვნებთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ თემატიკის მიუთითებლობა განპირობებულია იმ თავისებურებებით, რაც ზოგადად დამახასიათებელია ამ სფეროსთვის/დარგისთვის და რომელიც სწავლების პროცესში თითოეული სტუდენტის შემოქმედებითი პოტენციალისა და უნარის გათვალისწინებით გულისხმობს მათდამი ინდივიდუალურ მიდგომასა (ინდივიდუალური მიდგომით მათთვის გეგმის შემუშავებას) და გეგმის შემუშავებას. სილაბუსს ახლავს გამოსაყენებელი

ნ. ...

ლიტერატურის ნუსხა, რის საფუძველზეც ხდება სემესტრის განმავლობაში, თითოული სტუდენტის უნარის გათვალისწინებით, ინდივიდუალური პროგრამის განსაზღვრა. პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, ყველა სემესტრის კურსისთვის ერთიანი საბოლოო მიზანი და შედეგია გათვალისწინებული. მაგალითად, ფორტეპიანოს სასწავლო კურსი ემსახურება სტუდენტის შემოქმედებითი კომპეტენციების პროცესუალურ გამომუშავებას, რომელიც საბოლოო შედეგზე არის ორიენტირებული, რის გამოც, მოცემულ შემთხვევაში შეუძლებელია სწავლის შედეგების სემესტრული დანაწევრება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრი ლილი ბიბილაშვილი დაინტერესდა, ისწავლებოდა თუ არა კოლეჯში ის სავალდებულო მუსიკალური ნაწარმოებები, რომლებიც ისწავლება სამუსიკო სკოლებში. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ყველა ძირითადი, სავალდებულო მუსიკალური ნაწარმოებები ისწავლებოდა კოლეჯში.

1.2 და 1.3 შენიშვნებთან დაკავშირებით, საბჭოს წევრის რევაზ აფხაზავას მოსაზრებით, საგანმანათლებლო პროგრამების თავისუბურებიდან და სწავლების სპეციფიკიდან გამომდინარე, შეუძლებელი იყო წინასწარ ყველა სტუდენტისთვის ერთიანი თემატიკისა და შედეგების განსაზღვრა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მნიშნველოვანი იყო ის გარემოება, რომ სწავლის პროცესში თითოეული სტუდენტის შემოქმედებითი პოტენციალის და უნარის გათვალისწინებით მოხდებოდა ინდივიდუალური მიდგომისა და გეგმის შემუშავება. სასწავლო კურსის სილაბუსებზე თანდართული გამოსაყენებელი ლიტერატურის ნუსხის საფუძველზე, სემესტრის განმავლობაში განხორციელდებოდა თითოული სტუდენტისთვის ინდივიდუალური პროგრამის შედგენა. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარეს ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა მოახსენა ავტორიზაციის ექსპერტებს გაწეული შრომისათვის და აღნიშნა, რომ მათგან ბევრი სასარგებლო რეკომენდაცია მიიღეს. ამასთან, დაწესებულების წარმომადგენელმა 1.2 შენიშვნასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ქართული მუსიკის ისტორია, ფორტეპიანოს სწავლებისგან განსხვავებით, წარმოადგენდა თეორიულ საგანს, შესაბამისად, ექსპერტთა შენიშვნა იყო სრულად გაზიარებული და სწავლის მიზნები და შედეგები სემესტრების მიხედვით იყო ჩაშლილი.

ავტორიზაციის ექსპერტმა ეკატერინა ბაღიშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ სსიპ - ქ. ქუთაისის სამუსიკო კოლეჯს ემსახურებოდა მაღალკვალიფიციური ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი, რომლებიც მთელი გულისყურით უდგებოდნენ თავიანთ საქმეს.

2.1 შენიშვნასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ შენობა-ნაგებობა, სადაც განთავსებული იყო კოლეჯი, ექსპლუატაციაში იქნა მიღებული 1986 წელს. შენობა საჭიროებდა სარემონტო სამუშაოების ჩატარებას. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ქ. ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დაპირებით, უახლოეს მომავალში იგეგმებოდა სარემონტო სამუშაოების დაწყება. საბჭოს წევრი რევაზ აფხაზავა დაინტერესდა, ხომ არ იყო მოცემული შენობა ავარიული. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შენობა ავარიული არ იყო.

საბჭოს თავმჯდომარე ნინო ჩინჩალაძე დაინტერესდა, დაწესებულებაში დასაქმებული აკადემიური პერსონალი იყო ადგილობრივი, თუ მოწვეული. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ერთის გარდა, ყველა აკადემიური პერსონალი იყო ადგილობრივი. კოლეჯის წარმომადგენელმა დამატებით აღნიშნა, რომ 600-ზე მეტმა სტუდენტმა დაამთავრა უკვე სსიპ - ქ. ქუთაისის სამუსიკო კოლეჯი და კურსდამთავრებულთა 80%-ზე მეტი თავისი პროფესიით იყო დასაქმებული. ასევე აღინიშნა,

რომ კოლეჯს მჭიდრო კავშირი ჰქონდა თბილისისა და ბათუმის სამუსიკო სასწავლებლებთან.

საბჭოს წევრი ლილი ბიბილაშვილი დაინტერესდა, რომელ პროფესიაზე იყო ყველაზე დიდი მოთხოვნა. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ყველაზე დიდი მოთხოვნა იყო აკადემიურ სიმღერაზე.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, სტუდენტთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოითხოვა სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 200-ით განსაზღვრა.

თავმჯდომარემ მიმართა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, ეკატერინე ბაღიშვილს, დაეფიქსირებინა პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ეკატერინე ბაღიშვილი დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ დაწესებულებას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 200 სტუდენტისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქ. ქუთაისის სამუსიკო კოლეჯის ავტორიზაციისა და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 200-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^2-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56^3-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ქ. ქუთაისის სამუსიკო კოლეჯს (საიდენტიფიკაციო კოდი: 212907513) 5 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (კოლეჯი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 200-ით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა 18:38 საათზე.

თავმჯდომარე
ნინო ჩინჩალაძე

მდივანი
ანა ბახტურიძე